პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ოთხშაბათი
1 ივნისი
1955 წელი
№ 44 (850)
ფასი 30 კაპ.
გამოცემის მე-11 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

ჩვენი ნუგეში, ნათელი მომავალი, მზიანი დღის ყვავილები — ასე უწოდებენ ბავშვებს ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოში. მათზე მამობრივად ზრუნავენ სახელოვანი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. ჩვენი ქვეყნის ბავშვები უბედნიერესნი არიან მსოფლიოში, მათ სწორ აღზრდას ემსახურება მრავალი დაწესებულება — საბავშვო ბაღები, სკოლები, ბიბლიოთეკები, თეატრები, პიონერთა სასახლეები, კლუბები, სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პიონერული ბანაკები.

საბჭოთა ბავშვები იზრდებიან სოციალისტური სამშობლოსათვის უანგარო სიყვარულის სულისკვეთებით, სამშობლოსი, რომელიც ზრუნავს მათ აწმყოსა და მომავალზე.

დღეს მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს. მშვიდობისათვის, ბავშვთა ნათელი მომავლისათვის მებრძოლი ქვეყნები ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციისა და სხვა დემოკრატიული ორგანიზაციების წინადადებით 1950 წლიდან ყოველწლიურად აღნიშნავენ ამ დღეს. სულ უფრო მძლავრად გაისმის პროგრესული კაცობრიობის მებრძოლი ხმა — დავიცვათ ბავშვები, მშვიდობა, განვამტკიცოთ ხალხთა შორის მეგობრობა!

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ ბავშვთა ფიზიკურ აღზრდას. საბჭოთა ბავშვების ფიზიკური აღზრდის სამსახურშია სპორტული მოედნების დიდი ქსელი. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ კომუნისტური საზოგადოების მომავალი მშენებლები იყვნენ ძლიერნი, ყოველგვარ დაბრკოლებათა გადამლახველნი, საყვარელი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები.

იქ, კაპიტალის სამყაროში, სადაც ხელისუფლება მილიარდერებისა და მილიონერების სათამაშო ტიკინად გადაქცეულა, ბავშვების სწორად აღზრდაზე არავინ ზრუნავს. ბნელი საქმეების ერთ-ერთმა გაქნილმა ოსტატმა ჯონმე სმიტმა, რომელმაც ბოროტად გამოიყენა თავისი ბავშვების სიცოცხლე (მცირეწლოვანებს ცურვა შეასწავლა, საჯაროდ გამოჰყავდა. ორივე ბავშვს ზედმეტი დატვირთვის გამო გული გაუსკდა), სასამართლოზე ცინიკურად განაცხადა — „თქვენ რა გესაქმებათ, ბავშვები ჩემია, მე შევქმენი ისინი და გამოვიყენე ბიზნესისათვის". სასამართლომ ასეთი ბოროტი მამა ჯეროვნად არ დასაჯა — „ლუკმა პურის შოვნაში გართული მშობლები ყურადღებას არ აქცევენ ბავშვთა აღზრდას. ამიტომ ისინი დილიდან საღამომდე ქუჩებში დაძრწიან, ირყვნებიან და ამრიგად, იზრდება ბოროტმოქმედთა რიცხვი", — წერდა ერთ-ერთი ფრანგული გაზეთი.

ეს ორი ცოცხალი ფაქტი მიუთითებს თუ რა გულგრილად ეპყრობიან კაპიტალისტურ ქვეყნებში მომავალი თაობის აღზრდას. კაპიტალისტებს არ სცალიათ — ახალი ომის გეგმების შედგენით არიან გართულნი, ქმნიან ატომურ, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღებს, აკოწიწებენ სამხედრო ბლოკებს, იგებენ სამხედრო ბაზებს. უნდათ, რომ კვლავ აგიზგიზდეს ახალი ომის ხანძარი, საბჭოთა კავშირსა და დემოკრატიულ ქვეყნებში ჯაშუშების, დივერსანტების შემოგზავნით სურთ ძირი გამოუთხარონ ჩვენს ძლიერებას, ერთიანობას, მეგობრობას.

მაგრამ ომის გამჩაღებელთა ყველა ზრახვა განწირულია დასაღუპავად. მშვიდობისა და დემოკრატიის მძლავრ ბანაკს, რომელსაც დიდი საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობს, ვერავითარი ძალა ვერ შეარყევს, მშვიდობა გაიმარჯვებს!

## ახალი რეკორდი

**მინსკი.** (ტელეგრაფით). ბელორუსიის დედაქალაქში დამთავრდა მძლეოსანთა ტრადიციული სამატჩო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ რსფსრ-ს, უკრაინის, ბელორუსიის, მოსკოვისა და ლენინგრადის მძლეოსნები.

10.000 მეტრზე რბენაში შესანიშნავ წარმატებას მიაღწია ცნობილმა სტაიერმა ა. ანუფრიევმა. მან ამ დისტანციაზე დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი — 29:10,6.

## მატჩ-ტურნირი ბუდაპეშტში

უნგრეთის სპორტული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიწვევით უნგრეთის გერმანელ ფაშისტთა უღლისაგან განთავისუფლების ათი წლისთავისადმი მიძღვნილ მატჩ-ტურნირში მონაწილეობისათვის ბუდაპეშტში გაემგზავრნენ საბჭოთა მოჭადრაკეები: გროსმაისტერები ბრონშტეინი, კერესი, პეტროსიანი, ოსტატი ილივიცკი და სპორტის დამსახურებული ოსტატი მიკენასი (სათადარიგო).

უნგრეთის გუნდში არიან: გროსმაისტერები საბო და ბარცა, ოსტატები ბენკო და კლიუგერი და ახალგაზრდა ოსტატი ბილეკი (სათადარიგო).

I ტურში ყველა დაფაზე შეუპოვარი ბრძოლა მიმდინარეობდა. პირველი შედეგი — ყაიმი ფიქსირებულ იქნა ბენკო-კერესის პარტიაში. ილივიცკი იძულებული გახდა სვლების გამეორებით ყაიმზე შეთანხმებოდა საბოს. ახალგაზრდა უნგრელი ოსტატი ბილეკი კარგად იცავდა თავს პეტროსიანთან პარტიაში, მაგრამ ეს შეხვედრაც ყაიმით დამთავრდა.

II ტურში პეტროსიანმა სძლია საბოს. კერესმა დიდი ალღოთი [?] ითამაშა პარტია ბარცას წინააღმდეგ. მალე მან მოიგო პაიკი. პარტია გადადებულია. კერესს მოგების შანსები აქვს. საბჭოთა გროსმაისტერის უპირატესობით გადადებულია აგრეთვე ბრონშტეინ-ბენკოს პარტია.

III ტურში ყველაზე საინტერესო კერეს-საბოს შეხვედრა იყო. კერესმა ხელთ იგდო ინიციატივა და მოწინააღმდეგის მეფეზე მძლავრი შეტევა განავითარა. 23-ე სვლაზე საბომ თავი დამარცხებულად ცნო.

IV ტურში საბო დამარცხდა ბრონშტეინთან.

ოთხი ტურის შემდეგ მატჩის ანგარიშია 9:5 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

## მოცურავეთა რეკორდები

ამ დღეებში კიევში გაიმართა მოცურავეთა საქალაქო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის ჩემპიონმა მ. გავრიშმა. მან გააუმჯობესა საკუთარი საკავშირო რეკორდი ქალთა შორის ბატერფლაის სტილით 100 მეტრზე ცურვაში და დისტანცია დაფარა 1 წუთსა და 19,9 წამში.

ბაქოს მოცურავეთა ჩემპიონატში კონკურსგარეშე მონაწილეობა მიიღეს მოსკოველმა მოცურავეებმა. მსოფლიო ჩემპიონმა კომპლექსურ ცურვაში ვ. სტრუჟანოვმა დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში — 1:04,6. ეს შედეგი 0,5 წამით უმჯობესია ლ. მეშკოვის მიერ 1940 წელს დამყარებულ რეკორდზე.



საიმედო ცვლა

ფოტოეტიუდი დ. იაკობაშვილისა

## ევროპის პირველობა კრივში

28 მაისს დასავლეთ ბერლინის „სპორტ პალატაში" საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ევროპის ჩემპიონატი კრივში. დარბაზი, რომელიც 7 ათასზე მეტ მაყურებელს იტევს, ოვაციით შეხვდა შეჯიბრებაში მონაწილე 23 სახელმწიფოს სპორტსმენთა გამოჩენას. ზუსტად 7 საათზე მოსკოვის დროით დაიწყო შეჯიბრება.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ჩემპიონატში გუნდური პირველი ადგილი პოლონეთის მოკრივეებმა მოიპოვეს. საბჭოთა კავშირის გუნდი მაშინ მეორე ადგილზე გამოვიდა. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: კუკიერი (პოლონეთი), სტეფანიუკი (პოლონეთი) კრუჟა (პოლონეთი), ენგიბარიანი (სსრკ), დრაგოში (პოლონეთი), ხიხლა (პოლონეთი), უელსი (ინგლისი), ვენჰოფერი (დას. გერმანია), ნიტცკე (გდრ) შოციკასი (სსრკ).

პირველი შეხვედრებიდან აღსანიშნავია დრაგოშის გამარჯვება ქულებით ბობლეკზე (დას. გერმანია). ავსტრიელმა ბოკესიკმა პირველ რაუნდში ნოკაუტი გაუკეთა ინგლისელ მაკ-მილანს. თავიანთი შეხვედრები მოიგეს აგრეთვე რაბაბრიომ (იტალია), ტრისბერგმა (შვეცია), შაპრიმ (საფრანგეთი), ნიტცკემ (გდრ) და სხვ.

საბჭოთა კავშირის მოკრივეთაგან რინგზე პირველად გამოვიდა ქვემძიმე წონის სპორტსმენი მურაუსკასი. მისი მოწინააღმდეგე იყო ბულგარელი ანდრეევი. ორი რაუნდის განმავლობაში საბჭოთა მოკრივის უპირატესობა აშკარა იყო. მესამე რაუნდში მსაჯებმა შეწყვიტეს ბრძოლა. გამარჯვება აშკარა უპირატესობისათვის მურაუსკასს მიეკუთვნა. ასევე შეწყვეტილ იქნა ისაევ (სსრკ)-კრიუნის (ლიუქსემბურგი) შეხვედრა. გამარჯვება მიეკუთვნა საბჭოთა მოკრივეს. პირველ შეხვედრაში ქულებით გაიმარჯვა აგრეთვე სტეპანოვმა.

## დნეპრის ტალღებზე

**კიევი.** (ჩვენი სპეც. კორ.). უკრაინის დედაქალაქში, დნეპრზე, გაიმართა საბჭოთა კავშირის პირველობა ნიჩბოსნობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, საქართველოსა და ბელორუსიის გუნდები.

პირველ ადგილებზე გამოსულთაგან მაღალი შედეგები აჩვენეს ი. სოტნიკოვმა, ნ. სავინამ და სხვა სპორტსმენებმა. ესტაფეტა 4×500 მოიგო ლენინგრადის გუნდმა.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება მოიპოვეს რუსეთის ფედერაციის სპორტსმენებმა. მეორე ადგილზეა ლენინგრადი, მესამეზე — უკრაინა.

## სპორტული საღამო

ხაშურის კულტურის სახლში გაიმართა სპორტული საღამო, რომლის თემა იყო „ქართველი სპორტსმენები საერთაშორისო სარბიელზე".

საქართველოს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წევრმა ა. ციბაძემ წაიკითხა მოხსენება. სიტყვებით გამოვიდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები ბ. პაიჭაძე, მ. ჯუღელი, ნ. ჯორჯიკია.

## სათანრიგო ნორმები

ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა დაადგინა სათანრიგო ნორმები მრავალდღიანი ველორბოლის სტიმულირებისა და საგზატკეცილო ველოსიპედისტთა ოსტატობის ამაღლებისათვის.

**სპორტის ოსტატის წოდება** მიენიჭება სპორტსმენებს, რომლებიც სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭოების, უწყებათა და მოკავშირე რესპუბლიკების კომიტეტების მიერ მოწყობილ მრავალდღიან ველორბოლაში, რომლის დისტანცია არა ნაკლებ 1.000 კილომეტრია, აჩვენებენ საშუალო სისწრაფეს 36 კმ საათში და დაიკავებენ I–V ადგილებს.

**პირველი თანრიგი** მიეკუთვნება საკავშირო, რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო მრავალდღიანი რბოლის მონაწილეებს (დისტანცია არა ნაკლებ 1.000 კმ), რომლებიც აჩვენებენ საშუალო სისწრაფეს არა ნაკლებ 33 კმ საათში და დაიკავებენ ადგილებს დისტანციადამთავრებულ საუკეთესო მონაწილეთა 50 პროცენტში; ან — ყოველგვარი მასშტაბის მრავალდღიანი რბოლის მონაწილეებს (არა ნაკლებ 500 კმ დისტანციაზე), რომელთაც აჩვენეს საშუალო სისწრაფე არა ნაკლებ 34,5 კმ საათში და დაიკავეს ადგილი დისტანციადამთავრებულ საუკეთესო მონაწილეთა 25 პროცენტში.

**მეორე თანრიგი** მიენიჭება მრავალდღიანი რბოლის მონაწილეებს არა ნაკლებ 500 კმ დისტანციაზე, რომელთაც აჩვენეს საშუალო სისწრაფე არა ნაკლებ 31,5 კმ საათში.

მრავალდღიანი რბოლის ცალკეული ეტაპების სიგრძე არ უნდა იყოს 100 კილომეტრზე ნაკლები.

# სპორტული საზოგადოებები სპარტაკიადისათვის მზადების დღეებში

★ ★ ★ ★

## „ბურევესტნიკი" ახალი ამოცანების წინაშე

საქართველოს პროფკავშირების სპორტულმა საზოგადოებებმა გასულ წელს მასობრივ-ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებასა და სახელმწიფო დავალებათა შესრულებაში ერთგვარი წარმატებები მოიპოვეს. მომზადდა 6 სპორტის ოსტატი, 298 პირველთანრიგოსანი, 1556 მეორეთანრიგოსანი, 7658 მესამეთანრიგოსანი. გადაჭარბებით შესრულდა იამთ პირველი და მეორე საფეხურების ნიშნოსანთა მომზადების სახელმწიფო გეგმები. კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ „ტრუდს", „ისკრას", „კრასნოე ზნამიას", „ბურევესტნიკს", „პიშჩევიკს" და სხვა სპორტულ საზოგადოებებს.

მიუხედავად ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ პროფკავშირული სპორტული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ პასუხობენ იმ მოთხოვნებს, რომელთაც საბჭოთა მთავრობა და კომუნისტური პარტია სახავენ. პროფკავშირული ორგანიზაციების, აგრეთვე სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და სასწავლო დაწესებულებათა ხელმძღვანელები ჯერ კიდევ ნაკლებად არიან დაინტერესებული მასობრივ-ფიზკულტურული მოძრაობის საკითხებით, ხშირად სამოქმედო წრეს სპორტსმენთა მცირე რიცხვით ფარგლავენ, ივიწყებენ საბჭოთა სპორტის მასობრივ ხასიათს.

როგორც ცნობილია, 1956 წლის ზაფხულში მოსკოვში მოეწყობა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშია სპორტის 20 სახეობა. ამ გრანდიოზული ღონისძიების საუკეთესოდ მომზადებისათვის, აგრეთვე სპორტსაზოგადოებათა ფიზკულტურული კოლექტივებისადმი ოპერატიული, საქმიანი ხელმძღვანელობის გასაწევად საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ მიზანშეწონილად ჩათვალა მთელი რიგი პროფკავშირული სპორტული საზოგადოებების გაერთიანება.

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ, გაითვალისწინა რა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების „ისკრის", „მედიკის", „ტრუდის" „ბურევესტნიკისა" და „ნაუკის" ცენტრალური საბჭოების წინადადებანი, მიმდინარე წლის 18 აპრილს მიიღო დადგენილება მათი ერთ საზოგადოებად — „ბურევესტნიკად" გაერთიანების შესახებ.

გაერთიანების შემდეგ „ბურევესტნიკის" საქართველოს რესპუბლიკური საბჭო აერთიანებს 882 ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივს, 53.632 წევრით. სექციები იმუშავებს სპორტის 28 სახეობაში. „ბურევესტნიკის" გაერთიანებულ რესპუბლიკურ საბჭოს თავის განკარგულებაში ექნება ერთი ახალი სტადიონი 50.000 მაყურებლისათვის, ალპინისტური ბანაკი, ტურისტული ბაზა, 8 სპორტული დარბაზი. 3 საჩოგბურთო კორტი, ორი საჭადრაკო კლუბი, ძალოსნობისა და საჭიდაო დარბაზები, 38 მოტოციკლი, 164 სარბოლო და საგზაო ველოსიპედი. მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ჩასატარებლად მიმდინარე წელს ბიუჯეტით გათვალისწინებულია 3 მილიონ 219 ათასი მანეთი.

ახალ სპორტულ საზოგადოებას ფართო შესაძლებლობანი ექნება სრულად განახორციელოს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული მითითებანი მასობრივ-ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი განვითარებისა და სპორტსმენთა ოსტატობის სრულყოფის შესახებ. სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკმა" 1955 წელს უნდა მოამზადოს მათ შორის პირველი საფეხურის 2460 ნიშნოსანი, მეორე საფეხურის 1966 ნიშნოსანი, 26 სპორტის ოსტატი, 218 პირველთანრიგოსანი, 808 მეორეთანრიგოსანი, 2483 მესამეთანრიგოსანი, 653 მოზარდი თანრიგოსანი.

სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" წინაშე დასახულია სერიოზული ამოცანები მასობრივ-ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი განვითარებისა და სპორტსმენთა ტექნიკური მომზადების განუხრელი გაუმჯობესების საქმეში. საჭიროა ფიზკულტურული კოლექტივების შექმნა ყოველ საწარმოში, დაწესებულებაში, ტექნიკუმსა და უმაღლეს სასწავლებელში. მაგრამ ერთია ფიზკულტურული კოლექტივების შექმნა, ხოლო მეორე — მათი მუშაობის სწორად წარმართვა. ძირეული ფიზკულტურული კოლექტივებისადმი საქმიანი, ყოველდღიური ხელმძღვანელობის შედეგად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ფიზკულტურელთა რიგები განუწყვეტლივ იზრდებოდეს. ამის გაკეთება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ფიზკულტურული კოლექტივი ორგანიზაციულად მტკიცე და ბრძოლისუნარიანია.

მოსახლეობის ფართო მასებს შორის სპორტის შემდგომი პოპულარიზაციისათვის, სპორტში მათი მოზიდვისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდას. საჭიროა უზრუნველვყოთ სპორტული კედლის გაზეთებისა და ფოტოვიტრინების რეგულარული გამოშვება, სპორტული საღამოებისა და საუკეთესო სპორტსმენთა საჩვენებელი გამოსვლების მოწყობა, ლექციების, მოხსენებებისა და საუბრების ჩატარება. აგიტმასობრივი და აღმზრდელობითი მუშაობის სწორად დაყენება დაგვეხმარება იმაში, რომ ყველასათვის ცნობილი გავხადოთ ახალი, პროგრესული ჩვენს ფიზკულტურულ მოძრაობაში, ხელს შეუწყობს მის შემდგომ განვითარებას.

ყოველი ზომა უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რათა მთელი შესაძლებლობით გამოვიყენოთ კადრები საზოგადოებრივი სპორტული სპეციალისტების — საბჭოთა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ამ ოქროს ფონდის ყოველმხრივ მომზადებისა და აღზრდისათვის. აუცილებელია მოვამზადოთ საზოგადოებრივი მსაჯების, ინსტრუქტორების, მწვრთნელების, ფიზკულტურული მუშაკების ახალი კადრები. პრაქტიკულ მუშაობაში ფიზკულტურული აქტივის რაც შეიძლება ფართოდ გამოყენება — ახალი სპორტსაზოგადოების პირველხარისხოვანი ამოცანაა.

სერიოზულად უნდა გაუმჯობესდეს საწვრთნელ-აღმზრდელობითი მუშაობა ფიზკულტურულ კოლექტივებსა და ცენტრალურ სპორტულ სექციებში. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სწორად დაყენებაზე პირდაპირაა დამოკიდებული ცალკეული გუნდებისა და სპორტსმენების სპორტული ოსტატობის შემდგომი ზრდა, აგრეთვე მათი წარმატებითი მონაწილეობა სპორტულ ღონისძიებებში. სექციების მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს გეგმაზომიერად, მთელი წლის განმავლობაში.

პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტები, აგრეთვე პროფკავშირული ორგანიზაციები ვალდებული არიან კონტროლი გაუწიონ, დაეხმარონ „ბურევესტნიკის" რესპუბლიკურ საბჭოს და მის ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს.

საქართველოს ახალი ნებაყოფლობითი პროფკავშირული სპორტული საზოგადოება „ბურევესტნიკი" მოწოდებულია აღზარდოს მრავალი მაღალი თანრიგის სპორტსმენი, რომლებიც შევლენ რა საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში, წარმატებით დაიცავენ რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას საბჭოთა კავშირის ხალხთა 1956 წლის სპარტაკიადაში.

**ნ. სხირტლაძე**



## მასობრივი ღონისძიება

28 მაისს თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიხსნა „შრომითი რეზერვების" მე-8 ტრადიციული რესპუბლიკური სპარტაკიადა.

4 საათია. საზეიმო მარშის ხმაზე სტადიონზე მწყობრი ნაბიჯებით შემოდიან ნაირფერ ფორმებში გამოწყობილი ფიზკულტურელთა კოლონები. პარადის მონაწილენი დასავლეთ ტრიბუნის წინ მოეწყვნენ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ ქ. მიქიაშვილმა სპორტსმენებს მიულოცა მე-8 რესპუბლიკური სპარტაკიადის გახსნა და უსურვა წარმატებანი. შარშანდელ შეჯიბრებაში გამარჯვებულმა გუნდმა მე-6 სახელოსნო სასწავლებლის, ფიზკულტურული კოლექტივის წარმომადგენლებმა აღმართეს სპარტაკიადის გახსნის ალამი.

სპარტაკიადაში მონაწილეობს „შრომითი რეზერვების" სასწავლებლების 1937-38-39-40 წლებში დაბადებული 850-მდე მოსწავლე, თითქმის 250-ით მეტი, ვიდრე წინა სპარტაკიადაში. 1937 წელს დაბადებულნი მონაწილეობენ მხოლოდ პირად პირველობაში, მათი შედეგები გუნდურ ჩათვლაში არ შედის.

„შრომითი რეზერვების" მე-8 რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამაშია სპორტის 10 სახეობა: ფრენბურთი, კალათბურთი, ფეხბურთი, ცურვა, ტანვარჯიში, სროლა, ქართული ჭიდაობა, ძალოსნობა, ჭადრაკი და შაში. ამათგან სპორტის ისეთი პოპულარული სახეობები, როგორიცაა ტანვარჯიში და სროლა, წელს პროგრამაში პირველადაა შეტანილი. სპარტაკიადის მთავარი მსაჯია რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი პ. იოგანი.

შეჯიბრებები ტარდება „დინამოს", „შრომითი რეზერვების", აგრეთვე კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნისა და ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის სპორტულ ბაზებზე.

სამრეწველო საწარმოთა მომავალმა კადრებმა უკვე მოსინჯეს თავიანთი სპორტული ძალები სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებებში ფეხბურთში, კალათბურთში, ძალოსნობაში, ქართულ ჭიდაობაში, ჭადრაკსა და შაშში.

სპარტაკიადა გრძელდება.

• • •

**სურათზე:** „შრომითი რეზერვების" სპარტაკიადის მონაწილეთა პარადი თბილისის „დინამოს" სტადიონზე.

★ ★

## საჭიროა მეტი საქალაქთაშორისო მატჩები



### მოსკოვისა და საქართველოს „სპარტაკის" მოკრივეთა ამხანაგური შეხვედრა

29 მაისს თბილისის სახელმწიფო ცირკში გაიმართა მოსკოვისა და საქართველოს „სპარტაკის" მოკრივეთა ამხანაგური შეხვედრა, რომელმაც სპორტის მოყვარულთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. უნდა ითქვას, რომ ასეთი სახის შეჯიბრებებს დიდი სარგებლობა მოაქვს სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლებაში. სხვადასხვა ქალაქებისა და რესპუბლიკების წარმომადგენლებთან სამატჩო შეხვედრები, სპორტსმენებს საშუალებას აძლევს გამოსცადონ თავიანთი თავი ნაკლებად ნაცნობ მოწინააღმდეგეებთან. ყოველ ახალ მოწინააღმდეგესთან შეხვედრა ნიშნავს რაღაც ახლის შეძენას, ზედმეტი გამოცდილების მიღებას, სპორტული მომზადების შემოწმებას. ამიტომ ორი „სპარტაკის" ეს ამხანაგური შეხვედრა უდაოდ მისასალმებელი ფაქტია. უკეთესი იქნება თუ სპორტსმენთა ამგვარ მატჩს მისი მომწყობები მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან. ჩვენ არ შევუდგებით იმის გამორკვევას, თუ რა მიზეზით არ გამოიყვანეს კოლექტივებმა სრული გუნდები (ამხანაგურ შეხვედრაში მათ ამისი უფლება აქვთ), მაგრამ ერთი კი ცხადია, შეჯიბრებისადმი ინტერესი უფრო გაზრდილი იქნებოდა, რომ მოკრივეები ყველა წონით კატეგორიაში გამოსულიყვნენ.

როგორ წარიმართა შეხვედრები? მჩატე წონაში მოსკოვის გუნდმა გამოიყვანა პირველთანრიგოსანი ე. გორნოსტაევი. მისი მოწინააღმდეგე იყო საქართველოს ჩემპიონი შ. ხუდოიანი. პირველი რაუნდის განმავლობაში მეტოქეები ერთმანეთს ზვერავდნენ. მათ მოახერხეს მხოლოდ რამდენიმე დარტყმის განხორციელება. მეორე რაუნდში ინიციატივა ხელთ იგდო ხუდოიანმა, რომელმაც კარგად გამოიყენა მოწინააღმდეგის წამიერი დაუკვირვებლობა. დარჩენილ დროში უპირატესობა ცვალებადი იყო. მსაჯთა ბრიგადამ გამარჯვება ხუდოიანს მიაკუთვნა.

ქვემსუბუქ წონაშიც ფრთხილად დაიწყო ვ. ჩერმინოვ-რ. ბიძაიას შეხვედრა. მაგრამ საკმარისი იყო რამდენიმე გაცვლითი დარტყმა და მოწინააღმდეგეები გააქტიურდნენ. შემდგომში მოკრივეები დარტყმებს აყენებდნენ ერთმანეთს მხოლოდ ახლო ბრძოლაში. აქ კი გამოცდილი მოსკოველი უფრო ეფექტიანად მოქმედებდა. ძნელი იყო იმის თქმა, თუ რომელი სპორტსმენი გამოვიდა გამარჯვებული. მსაჯების ჩანაწერებმა გამარჯვებულად სცნო მოსკოველი. ამ შეხვედრის შემდეგ მოსკოვის გუნდმა კიდევ ერთი გამარჯვება ჩაიწერა. ვ. კოზლიცკიმ დაამარცხა რ. ნასოევი.

მეტად დაძაბულად მიმდინარეობდა მსუბუქი წონის მოკრივეების მოსკოვის ჩემპიონის პ. ლევკინისა და საქართველოს ჩემპიონის ლ. ანდღულაძის ორთაბრძოლა. მოსკოველმა თავიდანვე შორიდან ბრძოლა აირჩია. ანდღულაძემ პირველ რაუნდში რამდენიმე ძლიერი დარტყმა მიაყენა მოწინააღმდეგეს, მაგრამ ლევკინი თავიდანვე აღებული ტაქტიკის ერთგული დარჩა. მეორე რაუნდში უპირატესობა ცვალებადი იყო. შეხვედრის დასასრულისათვის ორივე მოკრივე დაიღალა, მაგრამ უპირატესობას მაინც ანდღულაძე ინარჩუნებდა და გამარჯვებაც მას მიაკუთვნეს.

ბევრს ჰგონია, რომ კრივში მთავარია როგორმე მოარტყა მოწინააღმდეგეს. ზოგიერთი სპორტსმენი ამისათვის ყველაფერს აკეთებს: იღებს დარტყმებს, მაგრამ წინ მაინც მიიწევს. ენერგია და შეუპოვრობა მოკრივესათვის კარგი თვისებაა, მაგრამ მისი ბოროტად გამოყენება ხშირად დამარცხებას იწვევს. ოსტატური „გასვლები", „უვინთები" და შემდეგ კონტრშეტევა მოკრივის მაღალი ოსტატობის მაჩვენებელია. სწორედ ასე ჩაატარა შეხვედრა პირველ ნახევარსაშუალო წონაში თ. გუჯაბიძემ ვ. კოროლიოვის წინააღმდეგ. მოსკოველი სულ წინ მოიწევდა. გუჯაბიძე ნაბიჯით უკან აკეთებდა გასვლას და იმავ წამს დარტყმას აყენებდა მეტოქეს. კოროლიოვის დარტყმების უმეტესობა კი ჰაერში უმისამართოდ იკარგებოდა. გამარჯვება გუჯაბიძეს მიეკუთვნა.

საშუალო წონაში ვ. სილაგაძემ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ლ. გლიჩიხინი. მეორე საშუალო წონაში ერთმანეთს შეხვდნენ ვ. ხმელიოვი (საქართველო) და ვ. ტარასოვი (მოსკოვი). პირველ ორ რაუნდში ხმელიოვმა ენერგიული იერიშებით წონასწორობიდან გამოიყვანა მოწინააღმდეგე. მისი გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ მოსკოველმა, რომელმაც შეინახა ძალები მესამე გადამწყვეტი რაუნდისათვის, ორჯერ ჩააგდო ნოკდაუნში ხმელიოვი და მოიგო შეხვედრა.

როდესაც რინგზე გამოვიდნენ მძიმე წონის მოკრივეები ბევრს მოსკოველის გამარჯვებაში ეჭვი არ შეპარვია. კოჩეტკოვი — სპორტის ოსტატია. იგი 1952 წელს საბჭოთა კავშირის პირველობის პრიზიორი იყო. გარდა ამისა, იგი 7 კილოგრამით მძიმე იყო კოჩიევზე (საქართველო). მიუხედავად ამისა მან ბრძოლა ტემპიანად და მონდომებულად ჩაატარა. იგი კარგად იცილებდა კოჩეტკოვის დარტყმებს, კონტრშეტევაზე გადადიოდა და დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია.

საქართველოს და მოსკოვის „სპარტაკის" მოკრივეთა სამატჩო შეხვედრა დამთავრდა ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა გამარჯვებით — 5:3.

**შ. გუგეშაშვილი**

**სურათზე:** გუჯაბიძისა და კოროლიოვის შეხვედრა.

ფოტო მ. ზარგარიანისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს პირველობა

## პირველი ჯგუფი

29 მაისს გაიმართა ფეხბურთში საქართველოს პირველობის V ტურის მატჩები.

სტალინირში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტაკი" და მახარაძის „კოლმეურნე". პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა. შესვენების შემდეგ მახარაძელებმა მოწინააღმდეგის კარში გაიტანეს ერთი ბურთი და გაიმარჯვეს.

ქუთაისში თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამო" და „ლოკომოტივი" (თბილისი). სტუმრების მიერ პირველ ტაიმში გატანილ ბურთს დინამოელებმა შესვენების შემდეგ სამაგიერო ბურთით უპასუხეს და მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

თბილისის 26 კომ. სახ. რაიონის გუნდმა თავის მოედანზე მიიღო გორის „დინამო". თამაში მიმდინარეობდა დაძაბულად, მაგრამ შესვენებამდე ბურთის გატანა ვერ შეძლო ვერც ერთმა გუნდმა. თამაშის მეორე ნახევარში თბილისელებმა მოწინააღმდეგის კარში გაიტანეს ორი ბურთი და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

ბორჯომის „პიშჩევიკმა" მორიგი მატჩი ჩაატარა ფოთში ადგილობრივ ნაკრებთან. ბორჯომელებმა კვლავ სუსტად ჩაატარეს შეხვედრა და თავის კარში მიიღეს 5 ბურთი ისე, რომ მოწინააღმდეგისაში არ გაუტანიათ არც ერთი.

ყვიბულეთში თამაშობდნენ ადგილობრივი „კოლმეურნე" და ბათუმის „დინამო". „კოლმეურნემ" კარგად ითამაშა მატჩის პირველი ნახევარი და დამთავრა იგი თავის სასარგებლოდ — 1:0. შემდგომში ბათუმელებმა გაათანაბრეს ანგარიში და თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე გაიტანეს გადამწყვეტი ბურთი. გაიმარჯვეს დინამოელებმა — 2:1.

თბილისში ერთმანეთს შეხვდნენ ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოსა და რუსთავის „მეტალურგის" გუნდები. მატჩს სჯიდა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ი. ელჩეკი (ჩეხოსლოვაკია). მეტალურგებმა დიდი მონდომებით და ენერგიით ჩაატარეს თამაში და გაიმარჯვეს ანგარიშით — 1:0.

ამ დღეს სოხუმში თამაშობდნენ სოხუმის „დინამო" და პირველ ჯგუფში ახლახან ჩარიცხული თბილისის ადგილობრივი მრეწველობის გუნდი. 90 წუთის განმავლობაში მოწინააღმდეგეებმა ვერ შეძლეს ბურთის გატანა — 0:0.

## მეორე ჯგუფი

ამასწინათ გაიმართა მორიგი მატჩები რესპუბლიკის პირველობაზე ფეხბურთში მეორე ჯგუფის გუნდებს შორის. მოგვყავს შეხვედრათა ტექნიკური ანგარიში. **აღმოსავლეთი ზონა:** „ლოკომოტივი" (ხაშური)-გურჯაანი (ნაკრები) — 0:0, ყვარელი (ნაკრები)-წითელწყარო (ნაკრები) — 1:1, „სპარტაკი" (თელავი)-ორთქლ. ვაგონშემკეთებელი ქარხანა (თბილისი) — 3:3, ქარელი (ნაკრები)-ახალქალაქი (ნაკრები) — 0:1. **დასავლეთი ზონა:** წულუკიძე (ნაკრები)-„კოლმეურნე" (ლანჩხუთი) — 3:0, გუდაუთა (ნაკრები)-საჩხერე (ნაკრები) — 1:1 „შახტიორი" (ტყიბული)-ზესტაფონი (ნაკრები) — 1:0, „ტორპედო" (ქუთაისი)-„ლოკომოტივი" (სამტრედია) — 6:2, „დინამო" (ზუგდიდი)-„სპარტაკი" (ცხაკაია) — 2:1.

**მესამე ჯგუფი. I ზონა:** სიღნაღი (ნაკრები)-ლაგოდეხი (ნაკრები) — 1:1, მცხეთა (ნაკრები)-კასპი (ნაკრები) — 2:1, თეთრი წყარო (ნაკრები)-თიანეთი (ნაკრები) — 3:0, „სტროიტელი" (კასპი)-„კოლმეურნე" (თელავი) — 1:1, გარდაბანი (ნაკრები)-„კოლმეურნე" (საგარეჯო) — 0:0. **II ზონა.** დუშეთი (ნაკრები)-ასპინძა (ნაკრები) — 6:1, წალკის გუნდთან გამოუცხადებლობის გამო დმანისს ჩაეთვალა დამარცხება. მარნეული (ნაკრები)-ბოგდანოვკა (ნაკრები) — 3:1, ბოლნისი (ნაკრები)-„შახტიორი" (ახალციხე) — 3:2. **III ზონა:** ონი (ნაკრები)-ამბროლაური (ნაკრები) — 2:2, „უროჟაი" (დიდი ჯიხაიში)-მაიაკოვსკი (ნაკრები) — 3:2, „კოლმეურნე" (საჩხერე)-„კოლმეურნე" (ბათუმის რაიონი) — 2:3, ჩოხატაური (ნაკრები)-„ლოკომოტივი" (ტყიბული) — 2:0, თერჯოლა (ნაკრები)-ვაგერი (ნაკრები) — 7:0.

# საერთაშორისო შეხვედრა

# „ლოკომოტივი" (რუმინეთი)—„დინამო" (თბილისი)

★

**„ლოკომოტივი"** (რუმინეთი, ნაკრები): გ. დუნგუ; დ. ვაკარჩი, დ. ვერზანი, დ. მაკრი; გ. ბუში, ა. ფერენცი; დ. კელინი, ნ. რომანი, ა. კოვაჩი, დ. იოჟი, ა. ბედანცუ.

**„დინამო"** (თბილისი): მ. პირაევი; ნ. გაგნიძე, ნ. ძიაპშიპა, ი. სარჯველაძე; რ. მახარაძე, გ. ხოჭოლავა, ა. კოტრიკაძე, ი. ვარდიმიადი, ზ. კალოევი, ა. ლოლობერიძე, ბ. ხასაია.

**მსაჯი** — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ი. ელჩეკი (ჩეხოსლოვაკია).

★

... ჩეხოსლოვაკელმა მსაჯმა ი. ელჩეკმა ნიშანი მისცა და რუმინელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა კოვაჩმა ბურთი თამაშში შეიყვანა. იგი მიიღო რომანმა და შორს მიაწოდა ბუშს, რომელსაც საჯარიმო მოედანთან ბრძოლაში წაართვეს ბურთი. ცოტა ხანში კოვაჩმა მაკრისგან მოედნის სიღრმიდან მიიღო ბურთი, შეუფერხებლად გავიდა წინ და კარში დაარტყა. პირაევმა ლამაზი ნახტომით აიღო იგი.

რუმინელთა მიერ ასე მწვავედ გათამაშებულ დებიუტს დინამოელებმა მარცხენა ფრთაზე ორი სწრაფი გარღვევით უპასუხეს და დუნგუს ორჯერ მოუხდა ხასაიასგან ბურთების აღება. მალე თბილისელებმა შეტევის მარშრუტი შეცვალეს და მარჯვნივ გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია. ჯერ ლოლობერიძემ, შემდეგ ხასაიამ არაზუსტად დაარტყეს კარში.

მე-7 წუთზე სტუმრებმა გადმოინაცვლეს მოწინააღმდეგის მხარეს და მარცხენა ფრთაზე დაკარგეს ბურთი. იგი მიიღო ნ. გაგნიძემ, მოტრიალდა მეკარისკენ და ბურთი მშვიდად გადააწოდა... ბედანცუს, რომელმაც ეს „თავაზიანობა" კარგად გამოიყენა და ახლო მანძილიდან ანგარიში გახსნა — 1:0.

სამიოდე წუთის შემდეგ ზუსტად იგივე სიტუაცია განმეორდა „ლოკომოტივის" კართან. ერთ-ერთმა მცველმა ბურთი გადასცა კალოევს, მაგრამ თბილისელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ვერ გამოიყენა ის, რაც რუმინელთა მარცხენა გარემარბმა — კალოევმა სულ ახლოდან ბურთი უმისამართოდ დაარტყა.

რუმინელები პირველ ხანებში მთელი გუნდით მოქმედებდნენ მოედნის სრულ ტერიტორიაზე, შემდეგ ეს მთლიანობა დაირღვა. სტუმართა გუნდში საგრძნობლად სუსტი იყო დაცვა და ნახევარდაცვა. ისინი თამაშობდნენ ზონაში, მჭიდროდ არ იჭერდნენ „დინამოს" თავდამსხმელებს, რომლებიც ყოველგვარი კონტროლის გარეშე მოქმედებდნენ მოწინააღმდეგის ნახევარზე. მეტად მძიმე მდგომარეობაშიც კი რკინიგზელთა შუამარბები არ იხევდნენ უკან, საკუთარი კარისაკენ. ეს, რა თქმა უნდა, მეტად ურთულებდა საქმეს დაცვას, მაგრამ თავდამსხმელთა ყოველი კონტრშეტევა სახიფათო და მოულოდნელი იყო.

პირველი 15 წუთის შემდეგ ინიციატივა ხელთ აიღო „დინამომ" და დაიწყო რუმინელთა კარის შტურმი. ძნელად შეიძლება ნახოთ მატჩი სადაც თავდასხმა ტექნიკურად, ტაქტიკურად, ფიზიკური მომზადებით ასე ჯობნიდეს მოწინააღმდეგის დაცვას და ორი ტაიმის განმავლობაში მხოლოდ მინიმალურად გამოიყენოს უამრავი ხელსაყრელი მომენტი. თითქმის ყოველ 3-5 წუთის მანძილზე „ლოკომოტივის" კარის წინ იქმნებოდა მდგომარეობა, რომლის ლოგიკური ფინალი გოლი უნდა ყოფილიყო, მაგრამ თბილისელები უხვად აგზავნიდნენ ბურთებს კარის მაღლა, გვერდზე, მაგრამ ერთობ ძუნწად — კარში, რომელსაც შესანიშნავად იცავდა მეკარე დუნგუ.

მე-15 წუთზე ლოლობერიძემ მოატყუა მცველი, მეკარე (საერთოდ, რუმინელი ფეხბურთელები ადვილად ტყუვდებიან დრიბლინგზე) და... ააცილა კარს. მალე ვარდიმიადი და კალოევი სწრაფად გავიდნენ მცველებს შორის და ვარდიმიადმა არაზუსტად დაარტყა. ცოტა ხანში თავის პარტნიორს მიჰბაძა ხასაიამ. კარგა ხნის მანძილზე დინამოელები არ ცილდებიან რუმინელთა კარს, ყოველ ახალ შეტევას ახალი მომენტი მოჰქონდა, მაგრამ ხუთივე თავდამსხმელი თითქოს შეთქმულნი ყოფილიყვნენ — არაზუსტად ურტყამდნენ.

31-ე წუთი. ბურთი მიიღო კოტრიკაძემ და ძლიერად დაარტყა კარში. აქ მცველებმა წამით მოიგერიეს იგი, მაგრამ ვარდიმიადი დროზე გავიდა საჭირო ადგილას და ზუსტად, ძლიერად დაარტყა მაღალ კუთხეში. დუნგუს ნახტომმა ვერ მოუსწრო და ანგარიში გათანაბრდა — 1:1.

ბურთი კვლავ სტუმართა კართანაა, კვლავ „ბომბავენ" კარს თავდამსხმელები, კვლავს სივრცეს სერავს ბურთი კარის გარშემო.

ტაიმის დასასრულს ამოძრავდნენ „ლოკომოტივის" თავდამსხმელებიც. მათ რამდენიმე კარგი კომბინაცია გაითამაშეს უბურთო მოთამაშის აქტიური მონაწილეობით. რუმინელები მშვენივრად იყენებენ თავისუფალ ადგილზე გასულ მოთამაშეს. საყურადღებო იყო კოვაჩისა და კელინს შორის გათამაშებული მრავალსვლიანი კომბინაცია გაგნიძის, ძიაპშიპას, სარჯველაძისა და ხოჭოლავას შორის, როცა ორი თავდამსხმელი ყოველთვის პოულობდა თავისუფალ ადგილს ოთხ მოწინააღმდეგეს შორის.

ამ ანგარიშით 1:1 გუნდები წავიდნენ შესვენებაზე.

მეორე ტაიმში რუმინელებმა იოჟის ნაცვლად მინდორზე გამოიყვანეს ოლარუ. პირველი 5 წუთის განმავლობაში მათ კართან მოწოდებულ იქნა 6 კუთხური საჯარიმო, მაგრამ არც ერთ მათგანს შედეგი არ მოჰყოლია; თბილისელები გადამწყვეტ მომენტში ან კარგავდნენ ბურთს, ან არაზუსტად ურტყამდნენ. მე-7 წუთზე სარჯველაძემ ზედ კართან მოაწოდა საჯარიმო, რომელიც კალოევმა თავით ძლიერად გაგზავნა კარში. დუნგუმ ბრწყინვალე ნახტომში აიღო უაღრესად ძნელი ბურთი. ცოტა ხანში, სტუმართა ერთ-ერთი ეპიზოდური კონტრშეტევის დროს გაგნიძემ ისევ უყურადღებოდ მიაწოდა ბურთი მეკარეს, რომელიც კინაღამ გოლით არ დამთავრდა, მაგრამ პირაევმა მოუსწრო ბედანცუს.

მე-12 წუთზე კალოევმა დაახლოებით 20 მეტრის მანძილიდან უძლიერესი ბურთი გაგზავნა რუმინელთა კარში. დუნგუს ნახტომი ამაო იყო, მაგრამ ბურთი მოხვდა ძელს და დაუბრუნდა მოედანს.

30-ე წუთზე ერთ-ერთი შეტევისას რუმინელთა კართან ბუშს ფეხზე აუცურდა ბურთი, რომელიც მიიღო კოტრიკაძემ და დაუყოვნებლივ კარში გაიტანა იგი — 2:1.

ეს ანგარიში დიდ ხანს არ შერჩენია ფარებს. მალე რუმინელმა თავდამსხმელებმა კარგად გამოიყენეს „დინამოს" მცველთა უხეში შეცდომა და კოვაჩმა გაათანაბრა ანგარიში — 2:2.

ამგვარად, თბილისელებმა ვერ შეძლეს უამრავ შესაძლებლობათა გამოყენება, ხოლო რუმინელებმა, პირიქით, აჩვენეს, თუ როგორ ეფექტურად შეიძლება გამოყენებულ იქნას მოწინააღმდეგის ყოველი შეცდომა.

თბილისის „დინამოს" 1955 წლის პირველი საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში დამთავრდა ფრედ — 2:2.

**გ. ქორქია**

# საკავშირო კომიტეტის ჯილდოზე

თბილისის „დინამოსა" და რუმინეთის „ლოკომოტივის" ნაკრები გუნდის შეხვედრის დაწყებამდე „დინამოს" სტადიონზე გაიმართა მატჩი საკავშირო კომიტეტის გარდამავალ ჯილდოზე ახალგაზრდათა ფეხბურთის სკოლების გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის ახალგაზრდული ფეხბურთელთა სკოლისა და ლენინგრადის „შრომითი რეზერვების" გუნდები.

თამაში დაიწყო მასპინძელთა შეტევით. უკვე პირველივე წუთებზე ზედიზედ გავიდნენ მოწინააღმდეგის კართან იოსელიანი და ივანოვი, მაგრამ მეკარე ორენბურგსკიმ ორივე შემთხვევაში აიღო ბურთი. პირველ ხანებში ლენინგრადელებს უჭირდათ კარის დაცვა, შემდეგ მცველებმა გამოასწორეს მდგომარეობა და წარმატებით უმკლავდებოდნენ შუა მოედანში თავდამსხმელებს. თბილისელებს, როგორც ყოველთვის, ღრმა ზურგში ჰყავდათ დაწეული კაკაბაძე (№ 9), რომელიც თავისი ზედამხედველობის ქვეშ აიყვანა ერთ-ერთმა ნახევარმცველმა, ხოლო თავის ზონაში წინ წაწეულ იოსელიანს (№ 8) საჯარიმო მოედნის სიახლოვეს დარაჯობდა დავიდოვი (№ 3). თბილისელებს ფაქტიურად ღიად ჰქონდათ დატოვებული ცენტრალური თავდამსხმელის ზონა, რაც „შრომითი რეზერვების" დაცვას მნიშვნელოვნად უადვილებდა თამაშს.

კარგა ხნის განმავლობაში ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო ანგარიშის გახსნა, თუმცა ინიციატივა ძირითადად თბილისელთა მხარეს იყო. მხოლოდ 35-ე წუთზე გამოიყენეს მასპინძლებმა კართან შექმნილი მდგომარეობა და ასლამაზოვმა კაკაბაძის მიერ საჯარიმო დარტყმიდან მოწოდებული ბურთი თავით გაიტანა კარში — 1:0.

შესვენების შემდეგ თამაშმა მეტად უინტერესო, უფერული სახე მიიღო. ორივე გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელები თამაშობდნენ უხალისოდ, ყოველგვარი სიმწვავის გარეშე. იოსელიანმა და გვიმრაძემ (№ 5) მე-13 და 39-ე წუთებზე თითო ბურთი გაიტანეს და თამაში დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:0.

**დ. შეყრილაძე**



საბჭოთა კავშირის XXIII საჭადრაკო ჩემპიონატის ზონალური ტურნირი თბილისში.



ეს თასი გადაეცა საქართველოს თავისუფალ მოჭიდავეთა ნაკრებ გუნდს თავისუფალ ჭიდაობაში 1955 წლის გუნდურ პირველობაში გამარჯვებისათვის.

# გათამაშების ცხრილი

## „ა" კლასი

მდგომარეობა 1 ივნისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცდსა | 8 | 6 | 2 | 0 | 16:5 | 14 |
| „დინამო" მ. | 7 | 5 | 2 | 0 | 16:4 | 12 |
| „ტორპედო" | 8 | 4 | 4 | 0 | 11:6 | 12 |
| „სპარტაკი" მ. | 8 | 4 | 2 | 2 | 9:7 | 10 |
| „დინამო" თბ. | 7 | 2 | 3 | 2 | 8:8 | 7 |
| „შახტიორი" | 8 | 1 | 5 | 2 | 9:9 | 7 |
| „დინამო" კ. | 8 | 2 | 3 | 3 | 8:11 | 7 |
| „ლოკომოტივი" | 8 | 1 | 4 | 3 | 10:11 | 6 |
| „შრ. რეზერვები" | 8 | 2 | 2 | 4 | 14:19 | 6 |
| „ზენიტი" | 8 | 2 | 2 | 4 | 7:12 | 6 |
| „კრ. სოვეტოვი" | 8 | 1 | 2 | 5 | 8:18 | 4 |
| „სპარტაკი" მნ. | 8 | 0 | 3 | 5 | 7:13 | 3 |

# „ა" კლასის ოსტატთა მატჩები

**მოსკოვი.** 28 მაისი. „სტალინეცის" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის გუნდები „ლოკომოტივი" და „ტორპედო".

90-წუთიან ბრძოლას შედეგი არ მოჰყოლია — 0:0.

• • •

**მოსკოვი.** 29 მაისი. აქ გაიმართა მორიგი მატჩი. თამაშობდნენ მოსკოვის „სპარტაკი" და ლენინგრადის „ზენიტი".

მატჩი მოიგეს სპარტაკელებმა — 2:0.

• • •

**მინსკი.** 29 მაისი. მინსკში ადგილობრივმა „სპარტაკმა" მიიღო „შახტიორი" (სტალინო).

თამაში დამთავრდა ფრედ ანგარიშით 1:1.

• • •

**ლენინგრადი.** 29 მაისი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე ლენინგრადის „შრომითი რეზერვების" გუნდი შეხვდა კიევის „დინამოს".

გამარჯვება მოიპოვეს ლენინგრადელებმა — 2:0.

• • •

**მოსკოვი.** 31 მაისი. კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა" აქ ჩაატარა თავისი მორიგი მატჩი საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდთან.

მატჩი მოიგეს არმიელებმა — 2:1.

# 3:0

**სვერდლოვსკი.** 29 მაისი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან). დღეს სვერდლოვსკის სტადიონზე გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე „ბ" კლასის მეორე ზონის გუნდებს შორის. ადგილობრივმა ოფიცერთა სახლის გუნდმა მიიღო თბილისის ოფიცერთა სახლის ფეხბურთელები.

თბილისელებმა კვლავ შეწყობილად და ენერგიულად ჩაატარეს მატჩი და მეორე ზონის გათამაშების ლიდერი დაამარცხეს ანგარიშით — 3:0.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სტუმრად რუსთავში

გასულ კვირას საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სპორტული დელეგაცია შეფებთან — ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხნის ფიზკულტურელებთან დახმარებისა და საჩვენებელი გამოსვლების ჩასატარებლად გაემგზავრა.

სტუმრების შესახვედრად ქალაქის მრავალი მშრომელი შეიკრიბა. ურთიერთ მისალმების შემდეგ დაიწყო ამხანაგური შეხვედრები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

მაყურებელთა ინტერესს იწვევდა მატჩები ფრენბურთში. ვაჟთა გუნდებს შორის მეტალურგებმა შეძლეს ორი პარტიის მოგება, მაგრამ დამარცხდნენ მომდევნო ორში. მეხუთე პარტიამ გამარჯვება მასპინძლებს მოუტანა. ქალთა გუნდების შეხვედრა აღინიშნა სტუდენტთა კოლექტივის უპირატესობით და მათივე გამარჯვებით (2:1) დამთავრდა.

„მეტალურგის" სტადიონის მძლეოსნობის სექტორზე მოეწყო შეჯიბრებები სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომებში, რბენაში, ტყორცნაში. მრავალრიცხოვანი მაყურებლის მოწონება დაიმსახურა რესპუბლიკის ჩემპიონმა სიმაღლეზე ხტომაში ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა რ. შავლაყაძემ, რომელმაც 185 სანტიმეტრი დაძლია. სიგრძეზე ხტომაში სტუდენტმა ლ. სოროკინმა აჩვენა 6,32 მეტრი. 100 მეტრზე რბენაში კარგი შედეგები აჩვენეს სტუდენტმა ქავთარაძემ, დამამზადებელი საამქროს ოსტატმა ა. ხოროსტინოვმა, გ. მარჩენკომ და სხვებმა.

შეხვედრების დამთავრების შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს მეტალურგიული ქარხანა, გაეცნენ შრომის პროცესებს, იხაუბრეს ნოვატორებთან. საღამოს კულტურისა და დასვენების პარკის ესტრადაზე გაიმართა საზეიმო შეხვედრა. მეტალურგებს გადაეცათ სამახსოვრო ვიმპელი და საჩუქრები.

სიტყვით გამოსულმა რუსთავის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ყარალაშვილმა სტუმრებს გადასცა ლითონის სამახსოვრო ნაკეთობა წარწერით. დასასრულ მოეწყო სპორტული ნაწილი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ტანმოვარჯიშეებმა გ. ხალათოვამ, ნ. კანტაკუზინამ, ვ. ასათიანმა, მოფარიკავეებმა, აკრობატებმა და მოჭიდავეებმა.

ვ. ლვინიაშვილი

* * *

**სურათზე:** ფრენბურთელთა შეხვედრის მომენტი.

ფოტო დ. იაკობაშვილისა

# საბჭოთა კავშირის XXIII ჩემპიონატი

## ზონალური ტურნირი

### მეთექვსმეტე ტური

შეჯიბრების უკანასკნელი შეხვედრები მეტად მწვავედ მიმდინარეობს. ნამდვილად „ხელჩართული ბრძოლაა" ოთხეულში გასვლისათვის. გურგენიძე, რომელიც ტურნირს მტკიცედ უდგას სათავეში, მეთოდურად ავიწროებდა სარდაროვის პოზიციას. უკვე შუა თამაშში მან ლაზიერის ფრთაზე ორი გამსვლელი პაიკი შექმნა და სარდაროვი დანებდა. მაყურებელი შეუნელებელი ყურადღებით ადევნებდა თვალს ებრალიძე-ტარასოვის შეხვედრას. მოგვყავს ეს პარტია:

ებრალიძე-ტარასოვი. ძველინდური დაცვა. 1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 კg7 4. e4 d6 5. h3 e5 6. d5 0—0 7. მf3 e6 8. კd3 ed 9. ed ეe8+ 10. კe3 კh6 11. 0—0 კ:e3 12. fe ლe7 13. e4 a6 14. ლd2 მd7 15. ეf2 მh5 16. g4 მg7 17. ლh6 f6 18. e5! მ:e5 19. მ:e5 de 20. d6! ლd8 21. მe4 ეe6 22. ეaf1 მe8 23. მg5 ლd7 24. მ:e6 ლ:e6 25. კg6! ტარასოვი დანებდა.

კასპარიანმა ჩინებულად ითამაშა ამირხანოვის წინააღმდეგ. გიორგაძე ზედმეტად აგრესიულად უტევდა ტოპროვერს და დამარცხდა, კალაშიანმა ადვილად მოუგო თათევოსიანს.

ფრთხილი თამაშის შემდეგ შიშოვ-ლისტენგარტენის, სარაჩევ-რეგენბოგენის და გოლდინ-ქარსელაძის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, უკანასკნელი, XVII ტურის წინ, რომელიც დღეს შედგება სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: გურგენიძე — 12,5 ქულა, შიშოვი — 11,5, ტოპროვერი — 11, ტარასოვი და ამირხანოვი—10,5 თვითეულს, ებრალიძე — 10, და ა. შ.

# პირველ ადგილზეა მექანიკური ფაკულტეტი

## სტუდენტთა სპარტაკიადა

ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის სატრანსპორტო ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტთა მეხუთე სპარტაკიადა დამთავრდა. პროგრამაში იყო სპორტის ცხრა სახეობა, მათ შორის სასტენდო სროლაც. შეჯიბრება კიდევ იმით იყო საინტერესო, რომ მისი დებულებით ჯილდოვდებოდა მხოლოდ ის მონაწილე, რომელიც მეორე თანრიგის ნორმას შეასრულებდა, ხოლო მეორე თანრიგოსანს უფლება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა კავშირის რკინიგზის ტრანსპორტის უმაღლეს სასწავლებლების სპარტაკიადაში, რომლის ჩატარება განზრახულია ლენინგრადში, მიმდინარე წლის ივლისში.

პირად პირველობაში გამარჯვებული გამოვიდნენ ი. ბოგდანოვი, ა. ბორზენკო (ორივე მექანიკური ფაკულტეტიდან) და ბ. პეტრენკო (ხიდების მშენებლობის ფაკულტეტი), რომლებმაც 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში შეასრულეს მეორე თანრიგის ნორმები. ა. პტასინსკიმ (მექანიკური ფაკულტეტი) 100 მეტრი კროლით 1:19,2 გაცურა და გაიმარჯვა.

მეორე თანრიგის ნორმა შეასრულა და საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა აგრეთვე მსუბუქი წონის ძალოსანმა ხ. აკოფოვმა, რომელმაც სამჭიდის ჯამში 277,5 კილოგრამი დააგროვა.

სასტენდო სროლაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ელექტროტრანსპორტის ფაკულტეტის სტუდენტმა ა. კუზინინმა, რომელმაც მრგვალ სტენდზე სროლაში 25-დან 19 სამიზნე დაზიანა, ხოლო აფრენილ სამიზნეებზე სასანგრო სროლაში 50 შესაძლებლიდან 42 სამიზნე დაამსხვრია. ი. ტიშჩენკომ ბირთვი კრა 13,41 სანტიმეტრზე და მოიპოვა საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობის უფლება. შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდნენ აგრეთვე ლ. ძლიერიშვილი, ლორთქიფანიძე და სხვ.

გუნდურ შეჯიბრებაში მექანიკური ფაკულტეტის სტუდენტებმა პირველი ადგილები მოიპოვეს ჭადრაკში, მძლეოსნობაში, ცურვასა და ფრენბურთში. სამშენებლო ფაკულტეტის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს ძალოსნობაში, სპორტულ ტანვარჯიშსა და მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში. სასტენდო სროლასა და კალათბურთში ყველას აჯობეს ელექტროტრანსპორტის ფაკულტეტის წარმომადგენლებმა.

სპარტაკიადაში საერთო პირველი ადგილი მიეკუთვნა მექანიკურ ფაკულტეტს (20 საჯარიმო ქულა), მეორეზეა სამშენებლო, მესამეზე — ელექტროტრანსპორტის ფაკულტეტი.

შეჯიბრების 81-მა მონაწილემ შეასრულა სათანრიგო მოთხოვნები.

# ყოველი მხრიდან

## ჭადრაკი

**⊙ საარი.** ველკლინგში მოეწყო საერთაშორისო ტურნირი ელვისებურ თამაშში, რომელშიც მონაწილეობდნენ ჰოლანდიის, დასავლეთ გერმანიის, საარის, საფრანგეთისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეები. ფინალში გაიმარჯვეს იუგოსლაველებმა გლიგორიჩმა, ივკოვმა და მატანოვიჩმა, რომლებმაც 10 შესაძლებლიდან — 7-7 ქულა დააგროვეს.

• • •

**⊙ არგენტინა.** ჩვეულის 1954 წლის ჩემპიონატის ფინალში არ მონაწილეობდნენ გროსმაისტერები ნაიდორფი, ელისკაზესი, პილნიკი, ოსტატები პანო და ბოლბოჩანი. ათი ტურის შემდეგ ჩემპიონატი მოულოდნელად შეწყდა. იმ ინციდენტის შესახებ, რომელმაც გამოიწვია ჩემპიონატის ჩაშლა, დაწვრილებით არაფერია ცნობილი. მხოლოდ არგენტინის პრესა იუწყება, რომ მე-11 ტურის დროს ტურნირის მონაწილეს ოსტატ მარტინსა და მსაჯს შორის მოხდა კონფლიქტი, რომელიც დამთავრდა იმით, რომ მარტინმა მსაჯს სახეში გაარტყა. ამისათვის მარტინი ერთი წლით დისკვალიფიცირებულ იქნა. მაგრამ როცა ტურნირის სხვა, 12 მონაწილე მიემხრო მარტინის პროტესტს, არგენტინის საჭადრაკო ფედერაციამ ყველა მათ დისკვალიფიკაცია მისცა და ტურნირიც გააუქმა.

• • •

**⊙ დასავლეთ გერმანია.** შტუტგარტის საჭადრაკო კლუბის დაარსებიდან 75 წლისთავის აღსანიშნავად გაიმართა საერთაშორისო ტურნირი. პირველ ადგილზე გროსმაისტერი პილნიკი (9,5 ქულა 11-დან) გავიდა. მეცხრე ადგილზე აღმოჩნდა ცნობილი ფრანგი მოჭადრაკე ქალი შოდე დე სილანი.

• • •

**⊙ ავსტრია.** ზალცბურგში მოეწყო მეორე საერთაშორისო ტურნირი ცენტრალური ევროპის საჭადრაკო კლუბებს შორის. როგორც გასულ წელს ვენაში, თასი ბელგრადის კლუბის „პარტიზანის" გუნდმა მოიპოვა (22,5 ქულა 28-დან).

## ფეხბურთი

დასასრულს უახლოვდება უნგრეთის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი წრე. გათამაშების ცხრილში პირველ ადგილზე კვლავინდებურად „ვერეშ ლობოგოა", რომელსაც 10 თამაშიდან მოგროვილი აქვს ქულათა მაქსიმალური რაოდენობა — 20. 16 ქულით მეორე ადგილზეა „კინიჟი". „ჰონვედს" — 14 ქულა აქვს.

• • •

ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატში დარჩენილია მხოლოდ ერთი ტური. უკვე ცხადია, რომ ჩემპიონობას მოიპოვებს „ჩელსი". 41-ე ტურში „ჩელსმა" დაამარცხა „შეფილდ-უედნეი" ანგარიშით — 3:0 და დააგროვა 52 ქულა. ინგლისის ახალ ჩემპიონს 41 თამაშიდან აქვს 20 მოგება, 12 ფრე და 9 დამარცხება, ბურთების შეფარდება 80:55. მეორე ადგილზე მიდის „ვულვერჰემპტონი", რომელსაც 48 ქულა აქვს. „არსენალი" ჯერჯერობით მე-7 ადგილზეა.

# მასალები კრივის შესახებ

## სპორტის ისტორიიდან

ხალხური გადმოცემით კრივში გამარჯვებულ ადამიანებს, — ისევე, როგორც ლელოს გამტანებს, — სწამდათ, რომ იმ წელს უხვსა და ბარაქიან მოსავალს მიიღებდნენ. საქართველოში კრივის პოპულარობას ადასტურებს მრავალი თქმულება, ისტორიული ძეგლი და ძველი ხელნაწერი დოკუმენტი.

ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერების ფონდში დაცულ დიდძალ საინტერესო მასალებს შორის არის ალექსანდრე ვახტანგის-ძე ჯამბაკურ-ორბელიანის მოგონებანი, რომელშიც აღწერილია 1820-1825 წლებში გამართული ერთ-ერთი კრივი. ჩვენ აქ შევეცდებით მკითხველს მივაწოდოთ ალ. ორბელიანის მიერ კრივის აღწერის ზოგიერთი ძირითადი აზრი, ზოგიერთ ადგილსაც პირდაპირ მოვიყვანთ.

ქალაქი ჩვეულებისამებრ ორ ბანაკად გაყოფილა. იმ დღეს ქვემო და ზემო უბნის 2.000 მოკრივე უნდა შერკინებოდა ერთმანეთს. სიონის ქუჩაში სამ დღეს (პარასკევს, შაბათსა და კვირას) განუწყვეტლივ გაისმოდა ფალავნებისა და ქომაგების ყიჟინა. არც ერთი მხარე უკან დახევას არ აპირებდა. მესამე დღეს მოკრივენი ღამის წყვდიადმა გაფანტა. რადგანაც ფალავნებს ყაიმი სამარცხვინოდ მიაჩნდათ, ამიტომ ორივე მხარე შეთანხმდა ორშაბათს ბრძოლა სოლოლაკის მთის ძირში გაეგრძელებინათ. აქ მოკრივეთა ყველა დასტის ერთდროული გამოყვანა და შებმა შეიძლებოდა. ქვემოუბნელები ხელსაყრელ პოზიციებზე იყვნენ განლაგებული, ზემოელები კი პირიქით. ნასადილევს ორივე უბანმა ზურნა-დაფდაფის ცემით თავის პოზიციებს მიაშურა. მთელი ქალაქი აქ იყო. დაიწყო ბრძოლა, რომელთანაც წინა დღეებში გამართული კრივი მართლაც რომ თამაში იყო. მოკრივეები ერთმანეთზე დოგა-დოგა მიდიოდნენ, თვითეული გოჯისათვის საათობით იბრძოდნენ, ისეთი ყიჟინა და საბრძოლო გუგუნი იდგა, რომ ყურთასმენა აღარ იყო, მთელი ხეობა გრგვინვაში ჩაინთქა. ალ. ორბელიანი წერს: „ზემოუბნელებში სამი საკვირველი მოკრივე და ძლიერი კაცები ერია. ერთი მეჯოგე მატია, მეორე პეპია ბოშიშვილი და მესამე დათუა უსტაბაშიშვილი. ეს სამნი, რომელ მხარეზედაც ზემო უბნის მოკრივეებს გაუპირდებოდათ, ეს საკვირველი მოკრივეები გავიდოდნენ და მაშინვე პირს იქით აქნევინებდნენ ქვემო უბნის მოკრივეებს.

ქვემოუბანშიაც გამოჩენილი მოკრივეები ერივნენ, ერთს ერქო გაპია, მეორეს — გეჟა და მესამეს — ლაზარე. ეს გამოჩენილი მოკრივეები გამოვიდნენ ქვევიდგან და ზემოუბნიდგან მოკრივეები გამოითხოვეს. ზემო უბნიდანაც გამოჩენილი მოკრივეები გავიდნენ... უპირველესმა თავადებმა ეს ექვსი გამოჩენილი მოკრივე, რომ ნახეს გამოსული, სწრაფად გადაცვივდნენ და ორისავე მხრიდან დიდის ცდით კრივი დააყენებინეს — უნდოდათ ენახათ ეს ექვსი გამოჩენილი მოკრივე როგორ დაალხობდა ერთმანეთსა".

სამი წყვილის ორთაბრძოლა დიდხანს გაგრძელდა, ფალავნებს მაყურებელ მოკრივეებს მოთმინების ფიალა აევსოთ, თავი ვეღარ შეიკავეს და ორივე მხარე გადაეშვა ამხანაგების დასახმარებლად. სამი მხრიდან გარშემორტყმული ზემოუბნელები ადგილიდან მაინც არ იძროდნენ. მაშინ ქვემოუბნელებმა ხერხს მიმართეს. ჩუმად სოლოლაკის მთის მხრიდან მოკრივეები მოუტარეს და ზურგში ქვები დააგორეს. ამან თავზარი დასცა ზემოუბნელებს. „ზემოუბნელები მოვიშალეთით — განაგრძობს ალ. ორბელიანი. — ფეხი აგვიდგეს და ქალაქისაკენ გამოგვაქციეს ყველნიც, მოკრივეებიც და მაყურებლებიც, მაგრამ ქალაქის პირთან დადგა ზემო უბანი და საშინელივე კრივი გაიმართა და მოწინააღმდეგემ ქალაქში შემოსვლა ვეღარ იკადრა, კრივმა ბინდამდე გასტანა და დაღამებას დაიშალა. ამ მშვიდობიანს დროს ერთი შურდულის ქვა მამხვდა უკან თავის კეფაში და კარგა გამიტეხა".

კრივის შესახებ მასალები გაბნეულია იმ დროინდელ ქართულ და რუსულ პერიოდიკაში, რომლის ძირითადი ნაწილი დაცულია საქართველოს კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში.

ა. ცამციშვილი

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12 დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ-მგ მდივნისა და განყოფილებების — 3 90-34, მთრგანსა და გამომშვებს — 3-38 25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ № 14. უე 04214